

„პორნოგრაფია ფაბრიკის სარეზინო საბუნბარაოში“ და თარჯიმანი ჩაკინის ბანსასაქადის სკანდალი

“PORNOGRAPHY IN THE SHOE FACTORY LAVATORY“ AND
NKVD INTERPRETER’S TRIAL

დავით ჯიშკარიანი
მკვლევარი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

David Jishkariani
Researcher, Invited Lecturer at Caucasus University

Summary

State sanctioned violence during the repressions in the Stalinist USSR in 1937-1938 provoke fundamental questions about human nature and about how and under what circumstances people can be induced to behave in seemingly inhuman ways. This article will address these questions and attempt to examine the case file of a mid-level investigator in the Georgian NKVD Varlam Odisharia who according to mass of reports, testimonies and appeals was not at the center of the machinery of the terror in Tbilisi in 1937-1938. In spite of this he was arrested and sent to Labour camps for 10 years.

He was a typical Soviet citizen (*Sovetski chelovek*) who believed and devoutly was serving for Soviet Statehood. He graduated from the university and was serving in different places before starting his job in Georgian NKVD. Here he had access to foreign press and enjoyed privileges. After the arrest he wrote several letters to different people in the NKVD to try to prove his innocence. Based on these letters and on his personal criminal file we shall reconstruct his personal portrait. The case of the Varlam Odisharia demonstrates concept, being loyal to the Soviet ideas and statehood was not enough to survive in the NKBD during the mass violence.

On the other hand, arrested worker of the NKVD could use personal contacts and networks to demonstrate one’s truth. That was the mechanism Odisharia used and in 1943 he was released from prison.

1937-1938 წლებში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე მასობრივი რეპრესიების დროს, მოსკოვმა დაადგინა მოქმედების სფეროები და განსაზღვრა მკაფიო საზღვრები. სახელმწიფოს მიერ ლეგალიზებულმა ძალადობამ ადგილობრივ ხელისუფლებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებისა და საკუთარი ავტონომიურობის განსასაზღვრად საკმაოდ დიდი მასშტაბები გაუჩინა. საქართველოს სსრ-ს იმდროინდელი ხელისუფლება ვერ იქნებოდა მასობრივი რეპრესიების ინიციატორი, ეს პასუხისმგებლობა სამართლიანად მოსკოვს ეკუთვნის, თუმცა საკუთრივ მოსკოვი ამტკიცებდა ან შესწორებდა შეჭვონდა მომავალ მსხვერპლთა შესახებ, ადგილობრივ, პერიფერიიდან გაგზავნილ ლიმიტებში (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვიჩი 2015, 178-179; Юнге, Бордюгов и Биннер 2008, 98-109). ამგვარად იკვრება რეპრესიების დიდი ჯაჭვი, სადაც სახელმწიფო ორგანოები, როგორც ცენტრალურ, ისევე ლოკალურ დონეზე აქტიურად მონაწილეობენ მასში.

1937-1938 წლებში, მასობრივი რეპრესიების დროს, საქართველოში სსრ-ში მხოლოდ არასასამართლო ორგანოებმა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაქვემდებარებული ორგანოების, კულაკური, ნაციონალური და მილიციის სამეულების მიერ, დაჩქარებული წესით 23777¹ ადამიანი გაასამართლა. ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ მას დავუმატებთ სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის, სამხედრო ტრიბუნალების და ადგილობრივი სასამართლოების მიერ გასამართლებულ ადამიანთა რაოდენობას. აგრეთვე ეთნიკური ნიშნით რეპრესირებულებს, რომლებიც ე.წ ორეულებმა გაასამართლეს.

დიდი რაოდენობით ადამიანთა დაპატიმრების, სისხლის სამართლის პროცედურების ნაწილობრივ შესრულების და შემდგომში განაჩენის აღსრულების შრომატევადი საქმე შინსახკომის მოვალეობა იყო. ამ სამუშაოს შესრულებას კი დიდი ადამიანური რესურსი სჭირდებოდა. შინსახკომის თანამშრომლები არანორმალურ პირობებში მუშაობდნენ. თანამშრომლების უკმარისობის გამო საჭირო გახდა ახალი კადრების მობილიზაცია. შინსახკომს დაქვემდებარებული სასწავლებლებიდან მოხდა კურსანტების და მსმენელების რეკრუტირება რათა ისინი გამოძიების წარმოებაში დახმარებოდნენ გამოძიებლებს (Газарян 1988, 20, 33-34).

პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა და ძალადობა შინსახკომის კედლებს შიგნით ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საქმის დაჩქარებული წარმოებისათვის, თანამშრომლები აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა ტიპის წამების მეთოდებს სასურველი ჩვენების მისაღებად. მსგავსი მოპყრობა სანქცირებული იყო ზეპირსიტყვიერად და თანამშრომლებისათვის ეს უცხო ხილი არ ყოფილა (Линн 2017, 5-6). ისინი იყენებდნენ მინიჭებულ ძალაუფლებას და შინსახკომში გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. „კარგ“ და პერსპექტიულ თანამშრომლად ითვლებოდა ის, ვინც მეტ აღიარებით ჩვენებას მოიპოვებდა. აღიარებითი ჩვენების მოპოვება კი უმეტესად პატიმრებზე ფიზიკური ზემოქმედებით ხდებოდა.

1 საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა 11.08.1937-11.10.1938 პერიოდში 21078 ადამიანი გაასამართლა. ამ რაოდენობიდან 10534-ს მიესაჯა პირველი კატეგორია, სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. მეორე კატეგორიით გაასამართლეს 9555 ადამიანი, რომლებიც 10 და 8 წლიანი ვადით გადაასახლეს შრომა გასწორებით კოლონიაში (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვიჩი 2015, 198). საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა ე.წ ნაციონალურმა სამეულმა 25.09.1938-23.10.1938 პერიოდში გაასამართლა 495 ადამიანი, პირველი კატეგორია მიესაჯა 115 პირს, ხოლო სხვადასხვა ვადით შრომა გასწორებით კოლონიაში გადასახლება მიესაჯა 300 ადამიანს. დარჩენილ კონტიგენტს მიესაჯა სხვადასხვა ტიპის სასჯელი. (იუნგე, თუშურაშვილი და ბონვიჩი 2015, 204). საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეულმა (მილიციის) 01.08.1937-22.11.1938 პერიოდში დააპატიმრა 2204 ადამიანი, რომელთა უმეტესობას მიესაჯა სხვადასხვა ტიპის სასჯელი და მხოლოდ 1 ადამიანს მიესაჯა დახვრეტა.

რეპრესიების მიმდინარეობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ცკ პირველი მდივანი ლავრენტი ბერიაც. 1938 წლის 22 აგვისტოს ის დააწინაურეს და სსრკ-ის შინსახკომის მოადგილედ დაინიშნა. თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში მასობრივი რეპრესიები ნიკოლაი ეჟოვის² სახელთან ასოცირდება, საქართველოში მასობრივი დაპატიმრება, გადასახლება და რეპრესიები ბერიას სახელს უკავშირდება. საჯაროდ ბერიას და მისი გარემოცვის კრიტიკა და მასობრივ ძალადობრივ პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ საუბარი 1953 წელს, ამ უკანასკნელის დაპატიმრების შემდეგ დაიწყო. თუმცა შინსახკომის თანამშრომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეები გაცილებით ადრეც აღიძრა. ეს პროცესები საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი იყო და შინსახკომის კედლებს არ გასცდენია. ამით ის იმ სასამართლო პროცესებისაგან სრულებით განსხვავდება, რომლებიც ევროპაში ჩატარდა ჯალათების წინააღმდეგ.

ნიურნბერგის პროცესის დროს გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები აქტიურად ატარებდნენ სასამართლო პროცესებს ნაცისტურ ჯალათების (perpetrators) წინააღმდეგ. ისტორიკოსები, რომლებიც ნაცისტურ რეჟიმს სწავლობენ, ცალსახად უთითებენ დამნაშავეებს სხვადასხვა ბიუროკრატიულ და გეოგრაფიულ დონეზე (იქვე). პროცესი, რომელიც ნიურნბერგის პროცესით დაიწყო, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა გერმანიაში და დღემდე აქტუალობას არ კარგავს. განსხვავებული სიტუაციაა საბჭოთა კავშირის შემთხვევაში.

მარკ იუნგე აღნიშნავს, რომ არასასამართლო მოქმედებების დროს იურიდიული განათლების უქონელი კადრები ასრულებდნენ მოსამართლის, გამომძიებლის და ჯალათის ფუნქციასაც. ეს მათთვის დიდ თავისუფლებას გულისხმობდა, რომელიც ტოვებდა სივრცეებს ავტორიტარული აზროვნებისათვის, სადიზმის, კარიერიზმის, თვითნებობის და მანიპულაციებისთვის, ზემოდან არაეფექტური კონტროლის გამო. თუმცა ამ დამოკიდებულებამაც მიიყვანა ბევრი მათგანი განსასჯელის სკამთან (იუნგე, რაისნერი და ბონევიჩი 2015, 15).

საბჭოთა კავშირში არსებული რეპრესიებში მონაწილე შინსახკომელების შესახებ ისტორიოგრაფიაში მცირე დისკუსიაა. ეს ხშირ შემთხვევაში განპირობებულია დომინანტი პარადიგმით, რომ სტალინი იყო უმთავრესი დამნაშავე რეპრესიებში, ხოლო სხვები მხოლოდ აღასრულებდნენ მის მოთხოვნებს. საბჭოთა კავშირში, სტალინიზმის დროს ჩადენილ ადამიანთა წამებასა და რეპრესიებზე საჯარო საუბარი ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში დაიწყო. თუმცა შინსახკომის თანამშრომელთა მცირე ჯგუფის მიმართ სისხლის სამართლის წარმოება, პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო 1938 წელსაც დაიწყო. 1938 წლის 26 ნოემბერს, მას შემდეგ რაც ნიკოლაი აღარ იყო შინსახკომი, მისმა ადგილმონაცვლემ ლავრენტი ბერიამ გამოსცა ბრძანება N00762, რომელმაც შეცვალა მასობრივი რეპრესიების მსვლელობა. ამ ბრძანების შემდეგ დაპატიმრებები მხოლოდ პროკურორის სანქციით იყო შესაძლებელი. ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის ცკ-ის პოლიტიბიურომ შინსახკომის აპარატის მასობრივი პარტიული შემოწმება დაიწყო. შედეგად 1939 წლისათვის შინსახკომის პირადი შემადგენლობიდან 7 372 თანამშრომელი გაათავისუფლეს სამსახურიდან. ეს მთლიანი შემადგენლობის 22.9 % იყო. გაათავისუფლებული თანამშრომლების 66.5 % კი ელავებოდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობას (Линн 2017, 7-8).

2 სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1936-1938 წლებში.

შინსახკომის წმენდა 1938-1940 წლებში მოულოდნელი იყო ბევრი თანამშრომლისათვის და ამიტომ ისინი ერთგვარ პანიკაში იყვნენ. არ არსებობდა კონკრეტული კრიტიკური უმები თუ ვინ უნდა დაეპატიმრებინათ. ძიების დროს გადაცდომა კი პრაქტიკულად ყველა გამომძიებელს ჰქონდა. 1954-1957 წლებში ბერიას თანამოაზრეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის დროს მათთვის „განტეგების ვაცი“ თავად ლავრენტი ბერია იყო. ერთ დროს ძღვევამოსილი ჩეკისტები, ყოფილ ბოსს აბრალებდნენ ყველაფერს, რომ საკუთარი უდანაშაულობა დაემტკიცებინათ. თუმცა 1938-1940 წლების პროცესები განსხვავებული იყო, დაპატიმრებული შინსახკომის თანამშრომელი ხშირ შემთხვევაში სრულიად მარტოდმარტო, მიტოვებული რჩება საკუთარი სისტემის მიერ, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა – განტეგების ვაცის ვინაობა გაურკვეველი იყო.

კანადელი ისტორიკოსი ლინ ვაიოლა, ჯალათების ისტორიოგრაფიის ანალიზისას აქცენტს აკეთებს ტერორის ეკოსისტემაზე. მისი მოსაზრებით კვლევა უნდა ჩატარდეს ორმხრივად და გათვალისწინებული უნდა იქნას საბჭოთა გარემოებები, ადმინისტრაციული სისტემის განსაკუთრებულობა, პოლიტიკური კულტურა, რეჟიმის პარანოია ხალხის მტრების მიმართ, რეპრესიების სოციალური ფონი, ძალადობის კულტურა, და აგრეთვე, უნდა იქნას გათვალისწინებული მოდერნიზაციის საერთო კანონზომიერებები (იუნგე, რაისნერი და ბონევიჩი 2015, 21). ამ კუთხით ჩვენი კვლევის ობიექტი არის შინსახკომის თანამშრომელი ვარლამ ოდიშარია, რომელიც 1938 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. ჩვენ ვეცდებით აღვადგინოთ კარგი ბიოგრაფიის მქონე, ორთოდოქსი ჩეკისტის მდგომარეობა მისი დაპატიმრების შემდეგ. ადამიანისა, რომელსაც სწამდა სისტემის და დაპატიმრების შემდეგ დაბნეულია. ვერ ხვდება რა დააშავა და რატომ არის კონკრეტულად ის განსასჯელის სკამზე?

ვარლამ ბესარიონის ძე ოდიშარია თავად, როგორც შინსახკომის თანამშრომელი, აქტიურად მონაწილეობდა რეპრესიებსა და გამომძიების პროცესში. ვარლამ ოდიშარიასი პარტიული ელიტა დაპატიმრებამდე ერთი წლით ადრე დაინტერესდა. 21/11/1937 წელს შინსახკომის პარტიულ სხდომაზე ე. პ. ბარსკიმ³ მიიღო გადაწყვეტილება და დაავალა შინსახკომის 4 განყოფილებას, რომ გაერკვიათ როგორი ურთიერთობა ჰქონდა დაპატიმრებულ ძმასთან შინსახკომის თანამშრომელ ოდიშარიას. შედეგი კი პარტიულ სხდომაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.⁴

1938 წლის პირველ ივლისს დაპატიმრებულმა ა. გ. გრიგორიანმა საკუთარ ჩვენებებში დაასახელა კ/რ მენშევიკური ორგანიზაციის წევრად ახალი ფეხსაცმლის ქარხნის ოსტატი მაქსიმე თოდრია. იმავე დროს ფეხსაცმლის ქარხანაში სკანდალი მომწიფდა. საპირფარეოს კარებზე იპოვნეს წარწერა, რომელიც გამომძიების მონაცემებით პორნოგრაფიულ ხასიათს შეიცავდა. საქმეში გარკვევა დაევალა სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების მე-5 სამმართველოს უფროსის თანაშემწეს ვარლამ ოდიშარიას.⁵ ოდიშარიას რეპრესიების შემდეგ თოდრია მაქსიმემ აღიარა მის მონაწილეობა მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის საქმეში, დაასახელა წევრები და უფრო მეტიც, დააფიქსირა ის ადგილი, სადაც მოხდა მისი შეხვედრა ამ ცენტრის თანამშრომლებთან.⁶

3 შინსახკომის თანამშრომელი 1937 წელს.

4 სუსსა, I სამმართველო. ფონდი N6. საქმე N38522-07. ტ. 1 გვ. 103

5 იქვე, 30

6 იქვე

ოდიშარიას წინააღმდეგ ბრალდება არ უკავშირდება სოციალისტური სამართლიანობის აღდგენის პროცესს. მის წინააღმდეგ მასალების შეგროვება სერგო გოგლიძეს ბრძანებით გამოძიებულმა გაგუამ ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს დაიწყო.⁷

1938 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს შინსახკომის შეფმა, სახელმწიფო უშიშროების მეორე რანგის კომისარმა სერგო გოგლიძემ დაამტკიცა პროკურატურის სანქცირებული დაპატიმრების ორდერი. აღნიშნული ორდერით ვარლამ ბესარიონის ძეს ბრალად ედებოდა დაპატიმრებულებისგან ცრუ ჩვენებების მოპოვება და არალეგალური მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის საქმის შეთხზვა. მას ბრალდება მიესახაჯა 58/10, 58/11, 17/ა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.⁸ ორი თვის განმავლობაში მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სამართლებრივი ღონისძიებები. შინსახკომის სერგო გოგლიძეს ბრძანებით მენშევიკური ცენტრის შესახებ გამოძიება დაევალა ორ კვალიფიციურ გამოძიებულს კრიმიანსა და გაგუას, რომლებიც საკუთარი სისასტიკით იყვნენ ცნობილები შინსახკომში.⁹

1939 წლის იანვარში კი მისი ბრალდება გადაკვალიფიცირდა და ამჟამად ბრალი წაუყენეს მასზე, რომ დაპატიმრებულებისგან იღებდა ცრუ ჩვენებებს, რისთვისაც აპატიმრებდა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. მისი ბრალდებიდან გაქრა 58-ე მუხლი და დატოვეს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის ბ ქვემუხლი.¹⁰ არსებული წესისამებრ შინსახკომის თანამშრომლის დაპატიმრებაზე სანქციას ლავრენტი ბერია გასცემდა. ასე მოხდა ამჯერადაც.¹¹

ვარლამ ბესარიონის ძე ოდიშარია დაპატიმრების დროს 35 წლის იყო. ის თბილისში ბელინსკის, დღევანდელი ჭოველიძეს ქუჩა 2 ნომერში ცხოვრობდა, რომელიც მაშინდელ გოლოვინის პროსპექტთან, ქალაქის ცენტრალურ ქუჩასთან ახლოს მდებარეობდა. ის ნადირობით იყო გატაცებული და ამიტომ დაპატიმრების დროს სანადირო იარაღი და ეკიპირებაც იქნა ამოღებული.¹² ვარლამ ოდიშარია 1903 წელს დაიბადა ქალაქ ხონში. სოციალური წარმომავლობით იყო გლეხი. მიეკუთვნებოდა საბჭოთა მოქალაქეების იმ რიგს, რომლებიც ერთი სოციალური კლასიდან მეორეში გადავიდნენ, დაპატიმრების დროისათვის ის უკვე არა გლეხი, არამედ მოსამსახურე იყო. ახალი ბიუროკრატიული კლასის წარმომადგენლების მსგავსად მას რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული. ის არც თეორიული ცოდნით გამოირჩეოდა. მას ჰქონდა უმაღლესი ეკონომიკური განათლება და აგრეთვე იყო აღმოსავლეთმცოდნე. დაპატიმრების დროს პარტიის წევრობის 13 წლიანი სტაჟი ჰქონდა. ეროვნებით ქართველი, დაპატიმრების დროისათვის უმცროსი ლეიტენანტის ჩინს ატარებდა.

ვარლამ ოდიშარია არ იყო შინსახკომში შემთხვევით მოხვედრილი კადრი. 1934-1937 წლებში ის მუშაობდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის შინსახკომის საერთაშორისო განყოფილებაში. მას თანამდებობა აძლევდა უფლებას გაცნობოდა საერთაშორისო პრესას და წაეკითხა ის. ხანდახან ის კანონსაც არღვევდა და გაზეთები

7 იქვე, 217

8 იქვე, 5-6

9 Дело Бери: Приговор обжалованию не подлежит. Моск. 2012, 241, 278

10 სშსსა, I სამმართველო. ფონდი N6. საქმე N38522-07.ტ. 1 გვ. 7-8

11 იქვე, 30

12 იქვე, 13-17

შინსახკომის შენობიდანაც გამოჰქონდა. რაც სასტიკად აკრძალული იყო. 1935 წელს მან ორი გაზეთი შენობის გარეთ გამოიტანა. ერთი სპორტული გაზეთი იყო, რომელშიც ერთი სტატია ამერიკის ერთ-ერთ შტატში არსებულ აფერისტობის სკანდალის შესახებ აუწყებდა და მკითხველს. მეორე უფრო პარიზულ მოდას ეხებოდა, ეს უკანასკნელი მას უნდოდა ცოლისთვის ეჩვენებინა. მეუღლისათვის გაზეთის ჩვენება მან ვერ მოახერხა, რადგან ცოლი სახლში არ დახვდა.¹³ სპორტული სიახლეები კი მეგობარს გაუზიარა. ის რიგითი საბჭოთა შინსახკომელზე მეტად იყო ინფორმირებული საზღვარგარეთ არსებულ მდგომარეობაზე, მან უცხო ენებიც კარგად იცოდა და ეს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა, რადგან შინსახკომის თანამშრომლების უმეტესობას უმაღლესი განათლება საერთოდ არ ჰქონდა.

ვარლამ ოდიშარია არამარტო დეკლარირებულად და საბუთებით, არამედ საკუთარი ცხოვრებითაც საბჭოთა სისტემის ადამიანი იყო. 1918 წლიდან იყო ალკ-ს წევრი, 17 წლის ასაკში, 1921 წელს, აქტიური მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებაში.¹⁴ უშიშროების სისტემასთან კი ხან არაფორმალურად და ხან კი საპასუხისმგებლო ოპერატიულ საქმიანობაზე მყოფი სიამოვნებით თანამშრომლობდა.

შინსახკომის თანამშრომლებისათვის კარიერული წინსვლისა და უსაფრთხოებისათვის საკუთარ წარსულს და ოჯახის წევრთა ბიოგრაფიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში კი ოდიშარიას წარსული არ იყო იდეალური და გადაცდომები ნამდვილად მოიძებნებოდა. ის 1918 წელს მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდი-ში რამდენიმე თვის განმავლობაში. 1921 წელს კი საკუთარი ძმის¹⁵ ნაცვლად შემთხვევით დააპატიმრეს.¹⁶ 1937 წლის მასობრივ რეპრესიების დაწყებასთან ერთად აკაკი ოდიშარია კიდევ ერთხელ დააპატიმრეს. ვარლამ ოდიშარიასთვის ეს დიდი დარტყმა იყო. ამიტომ ის ზედმიწევნით იცავს წესებს და შინსახკომის პარტგანყოფილებას ატყობინებს ძმის დაპატიმრებას. თუმცა ამავე წერილში ის ცდილობს პატიმარი ძმისგან სრულ დისტანცირებას. მიწერილ წერილში ხაზს უსვამდა, რომ ძმასთან ფიზიკური კონტაქტიც კი არ ჰქონია და დაპატიმრების შესახებ ტელეფონით შეატყობინეს და ამატებს, რომ მასთან მხოლოდ ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა, რადგან 1923 წლიდან ისინი განცალკევებით, დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ.¹⁷ ვარლამ ოდიშარიამ პარტიულ განყოფილებასთან ერთად

13 იქვე, 106

14 იქვე, 475

15 ოდიშარია აკაკი ბესარიონის ძე – დაიბადა 1906 წ. ხონში. ეროვნებით ქართველი. პროფესიით იყო სამხედრო მფრინავი. დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს ავიაქიმიის ავიაციის ხელმძღვანელად. სკკპ(ბ)-დან გარიცხეს 1937 წელს ხალხის მტრებთან კავშირის გამო. 04/28/1938 წელს გაასამართლა შინსახკომის განსაკუთრებულმა სამეულმა შემდეგი შემადგენლობით: გოგლიძე, ტალახაძე, წერეთელი და მდივანი მოროზოვი. მის საქმეზე მომხსენებელი იყო გამომძიებელი კოლესნიკოვი. ბრალად ედებოდა: რომ კონტრრევოლუციურ მემარჯვენე ორგანიზაციაში გადაიბირა მისმა ერთ-ერთმა აქტიურმა თანამშრომელმა ვ. პ. გიორგაძემ. ცხოვრებაში აქტიურად ატარებდა კონტრრევოლუციურ დავალებას ავიაციის დასაშლელად. კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მხილებულია 21 თვითმხილველის მიერ. ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 58-7, 58-11 მუხლით. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით. სასჯელი სისრულეში იქნა მოყვანილი 04/30/1938 წყარო სტალინური სიები საქართველოდან. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=7526> (24.12.2020)

16 სშსსა, I სამმართველო. ფონდი N6. საქმე N38522-07, ტ.1, გვ. 23-24

17 იქვე, 104

საქმის კურსში მისი უშუალო მფარველი და უფროსი ბოგდან ქობულოვიც ჩააყენა.¹⁸ ის ძალიან აკურათულად იქცეოდა და ცდილობდა, რომ პრობლემების შემთხვევაში საკუთარი მდგომარეობა არ დაემძიმებინა. პარტია კი მას ავალდებულებდა იმას, რაც მან გააკეთა.

საბჭოთა, დისციპლინირებული ადამიანი იყო ვარლამ ოდიშარიას ცოლიც. ის ქმრის მსგავსად წარმოშობით გლეხი იყო. ახსნა განმარტების მიცემისას ხაზს უსვამდა, რომ საბჭოთა მოქალაქეა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ არის გამოზრდილი, რომლის მიმართაც ის სრულიად ლოიალური იყო. მას ძიძიმე ბავშვობა ჰქონდა. მამა 3 წლის ასაკში დაეღუპა მალაროში. დედამისი საჩხერის საბავშვო სკოლაში მუშაობდა დამლაგებლად. ის მადლობელი იყო სწორედ ამ მშობლის და საბჭოთა ხელისუფლების, რომ მათი დახმარებით დაამთავრა ცხრაწლედ. ვარლამ ოდიშარიასთან 1931 წლის აგვისტოში იქორწინა. იმავე დღეს წყვილი მოსკოვში წავიდა, რადგან ახალბედა ქმარი ბოლო კურსზე სწავლობდა ინსტიტუტში, რომელიც სამი თვის მერე დაასრულა. ახალგაზრდა წყვილი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ამ პერიოდში ვარლამ ოდიშარია სანაცნობო წრეს აფართოებდა. ის მეგობრობდა ტიტიკო ლომიძესთან, რომელიც შემდეგ სამუშაოდ საზღვარგარეთ გაუშვეს – თურქეთში. ვარლამ ოდიშარიას ძმა, აკაკი, ამ დროს სამხედრო აკადემიაში სწავლობდა და ძმის ოჯახში ხშირად დადიოდა 6 თვის განმავლობაში. ვარლამ ოდიშარიას ცოლი უკვე დაპატიმრებულ მახლთან ურთიერთობის დისტანცირებას ცდილობდა განმარტების დროს და აღნიშნავდა, რომ მათი თბილისში გადმოსვლის მერე აკაკი ოდიშარიასთან ინტენსიური ურთიერთობა ვეღარ ჰქონდა, რადგან ის 6 თვე რუსეთში იყო, ხოლო მერე თვეობით იყო მივლინებაში, როგორც მფრინავი. ვარლამ ოდიშარიას ცოლი მუდამ თან ახლდა სხვადასხვა ადგილას სამსახურის დროს. 1932 წლის ივლისში ორჭოშანში საბაჟოს უფროსად მუშაობდა და იქ ოჯახთან ერთად იყო 6 თვე, მერე გადაიყვანეს ბათუმის საბაჟოს უფროსად, სადაც ორი თვე დაჰყო, ხოლო ამის მერე გადაიყვანეს ჯულფაში, სადაც 4 თვე დაჰყო, 1933 წლის შემოდგომამდე. 1934 წელს კი ცკ დადგენილებით შინსახკომში იქნა გადმოყვანილი.¹⁹

ვარლამ ოდიშარიამ კარგად იცოდა შინსახკომში არსებული ძალაუფლების სტრუქტურა. ამიტომ ის დაპატიმრებიდან ძალიან მალევე იწყებს საკუთარი მფარველის ბოგდან ქობულოვის შეწუხებას. ის ინფორმირებულია, რომ პატიმრების წერილებს ხშირად კანცელარიაში კითხულობენ და ადრესატამდე სრულებითაც არ მიდის. პატიმრობაში მყოფი ოდიშარია კი ცდილობს მისი ძველი კონტაქტების საშუალებით ნაწერი მიაწოდოს მის მფარველს.²⁰ მიმოწერა საკმაოდ დიდხანს, რამდენიმე თვე გრძელდებოდა.

ოდიშარია წერილებში მის ემოციურ მდგომარეობას უსვამს ხაზს, რომ ის ცოდვას უდანაშაულო იყოს პატიმრობაში. წაყენებულ ბრალდებას, თითქოს ის კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრი იყოს, არ აღიარებს. ის ცდილობს ქობულოვს აჩვენოს, რომ მას, მფარველს, ციხიდანაც კი უფრთხილდება. დარწმუნებული რომ არ იყოს საკუთარ უდანაშაულობაში, საერთოდ არ მისწერდა მას და ვერც თხოვნას გაუბედავდა. სთხოვს, რომ გამოიჩინოს გულისხმიერება და გულთბილი ბოლშევიკური დახმარება აღმოუჩინოს მას.²¹

ქობულოვისადმი მიწერილ წერილებში ჩანს, რომ ვარლამ ოდიშარია სრულიად იდე-

18 იქვე, 105

19 იქვე, 108-109

20 იქვე, 467

21 იქვე, 469-470

ური ადამიანია. მას სწამს იმის, რასაც აკეთებს. მისთვის ხალხის მტრებთან ბრძოლა მისაღები იდეაა და მასთან არანაირი შინაგანი პროტესტი არ გააჩნია. პირიქით, ის აღნიშნავდა, რომ „ყველანაირ კონტრრევოლუციონერ ხალხის მტრებთან, მცირესთან და დიდთან, მე ვიჩინდი ზოოლოგიურ სიძულვილს და პრაქტიკულ საქმიანობაში დაუნდობლად ვიბრძოდი მათ წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბოლო წლებში.“²² ის ამბობს იმით რომ ებრძოდა ყველა სოციალურ ჯგუფს, რომელიც რეპრესიებს ექვემდებარებოდა: რევოლუციურ ორგანიზაციებს, ტროცკისტებს, მემარჯვენეებს, ესერებს, მენშევიკებს და ანარქისტებს.²³ მისთვის, როგორც მთარგმნელი ჩეკისტი ბოლშევიკისთვის, ყველაზე მეტად შეურაცხყოფელი ისაა, რომ მისი ბრძოლის და დამსახურებების მიუხედავად, ის ხალხის მტრებთანაა გათანაბრებული.²⁴ ამიტომ, მისთვის გაურკვეველია, თუ რატომ არის დაპატიმრებული.²⁵ ვერ უშვებს იმას, რომ პარტიისა და სახელმწიფოსათვის მებრძოლი ადამიანი დაპატიმრებული იყოს.

ოდიშარია სისხლის სამართლის პროცედურული ნორმების კარგი მცოდნე იყო. მას კარგად ჰქონდა გათავისებული ისიც, რომ პატრონის ცვლილებასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ახალ რეალობასთან ადაპტაციის მცდელობა. ლავრენტი ბერია 1938 წელს დაინიშნა სსრკ-ს შინსახკომის მოადგილედ. მან საკუთარი სანდო კადრები თან, მოსკოვში წაიყვანა სამუშაოდ. მათ შორის იყო ბოგდან ქობულოვიც, რომელიც ოდიშარიას დაპატიმრების მერე მალევე გადაიყვანეს მოსკოვში სამუშაოდ. ოდიშარიამ საქართველოში მფარველი დაკარგა. თავდაპირველად, ქობულოვს არ ეცალა პატიმრობაში მყოფი ოდიშარიასათვის. ეს უკანასკნელი კი ძალიან დათრგუნულია და ყველა საშუალებას მიმართავს, რომ ის შეიწყალონ.

ის იწყებს თავდაუზოგავად წერილების წერას დავით თვალჭრელიძესთან. ამჯერად ის წერილებში აღარც საკუთარ ჩინს და არც პარტიულ კუთვნილებას არ უთითებს. ის რიგითი მოქალაქე ვარლამ ოდიშარია ხდება. ის უკმაყოფილოა ზეპირსიტყვიერი შეპირისპირებით და ითხოვს რომ ხელახლა დაკითხონ და პირადად შეხვდეს თვალჭრელიძეს, რათა მისი სიმართლე დაამტკიცოს.²⁶ ის საკუთარ წერილში აქვსენტი რაფავასადმი ღიად აღნიშნავს, რომ ის მოქმედებდა იმ დირექტივებისა და ბრძანებების ჩარჩოში, რომელიც ხელისუფლების პოლიტიკური დადგენილების საფუძველზე მიიღო შინსახკომის ხელმძღვანელობამ.²⁷

1939 წლის 22-26 აპრილს საქართველოს სსრ-ს შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის სხდომის შედეგად, ვარლამ ოდიშარიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა შრომა გასწორებით კოლონიაში. ჩამოერთვა პოლიტიკური უფლებები და სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტის წოდება.²⁸ ოდიშარიას უიმედო მდგომარეობა არ გამართლდა. ბოგდან ქობულოვმა მისი პოზიციები გაიმყარა მოსკოვში და ოდიშარიას საქმე გასაცნობად გამოითხოვა. მალე საქმეში ჩაერთო საბჭოთა კავშირის მთავარი

22 იქვე, 474

23 იქვე, 472

24 იქვე, 473

25 იქვე, 474

26 იქვე, 88-89, 466, 461, 457-460

27 იქვე, 462-463

28 იქვე, 31-32

პროკურატურა.²⁹ 1942 წლის 8 მაისს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ვარლამ ოდიშარიას ბრალი მოუხსნა და ის გაანთავისუფლეს პატიმრობის ადგილიდან.³⁰

ამ ინციდენტის შემდეგ ვარლამ ოდიშარიას კარიერა უცნობია. არსებული მასალებით კი იკვეთება ადამიანის პორტრეტი, რომელსაც სწამს საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოსი, ერთგულად ემსახურება მას და იმედგაცრუებულია საკუთარი ხვედრით. ოდიშარიას მაგალითი დემონსტრირებაა იმისა, რომ შინსახკომში კარიერული წინსვლისათვის მარტო იდეალური ბიოგრაფია და საბჭოთა სახელმწიფოს ერთგულება არ კმაროდა.

გამოყენებული ლიტერატურა

- იუნგე, მარკ, თუშურაშვილი, ომარ და ბონვიჩი, ბერნდ (რედ.) 2015. *ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. I. დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში*. თბილისი მარკ იუნგე, ოლივერ რაისნერი და ბერნდ ბონვიჩი, „თოვლქვეშ“ ორტომეულში ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. I. დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში, რედ. მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვიჩი (თბილისი, 2015)10-26
- Газарян С. О. 1988. Это не должно повториться : Док. Повесть. Литературная Армения. <https://www.sakharov-center.ru/asfcd/auth/?t=book&num=28> (24.12.2020)
- Линн Виола, “Tater, perpetrator, <<исполнители>>, <<палачи>>,<<каратели>>“, в книге Чекисты на скамье подсудимых, составители Марк Юнге, Линн Виола, Джеффри Россман (Москва: робел-2000, 2017)5-11.
- Юнге, Марк, Бордюгов, Геннадий и Биннер, Рольф. 2008. *Вертикаль Большого террора*. Москва: Новый хронограф.

29 იქვე, 33, 41

30 იქვე, 44